

ვანოშის ბანკის MT4 -ს კლავიატურა და ტრანზაქციების ჩატარების წესები

სს საბროკერო და აქტივების მმართველი კომპანია ველსი
406239565

2018 წლის 18 აპრილის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: სს საბროკერო და აქტივების მმართველი კომპანია ველსი
საწარმოს სსმართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება
საინდენტიფიკაციო კოდი: 406239565
მისამართი იურიდიული: ვარკეთილი 3, 1მ/რ, კ32 ბ43, თილისი, საქართველო
მისამართი ფაქტობრივი: გაბრიელ ისაკაძის ქ. #14, თბილისი, საქართველო
დარგი (საქმიანობის სახე): საბროკერო და აქტივების მმართველი კომპანია
ზომის ერთეული: ლარი

ხელმძღვანელი: |-----| დიმიტრი სუკიასოვი

ფინანსური დირექტორი: |-----| დიმიტრი კაჭილაშვილი

სს საბროკერო და აქტივების მართვის კომპანია ველსი.

ვაჭრობის განხორციელება MT4 -ს პლატფორმაზე და ტრანზაქციების ჩატარების წესები

1. ტერმინები და განმარტებები:

(ამ რეგულაციებში გამოყენებული ტერმინებისა და განმარტებების ჩამონათვალი და ასევე კლიენტის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ტერმინები და განმარტებები ორმხრივად არის დაკავშირებული ერთმანეთთან)

Ask ნიშნავს ღირებულებას, რომელიც შემოთავაზებულია ვალუტის შესაძენად.

Bid შემოთავაზებული ღირებულება გულისხმობს ფასს, რომლის მიხედვითაც ბაზრის მონაწილე ყიდის ვალუტას.

Margin call გულისხმობს კომპანიის მიერ ტრეიდერზე მოთხოვნას, რათა დამატებითი ფულადი სახსრები შეიტანონ თავდაპირველ დეპოზიტზე მათი ღია პოზიციის მხარდასაჭერად, რომლებიც უახლოვდებიან კრიტიკულ ზარალს.

სავალუტო წყვილი ნიშნავს ორ ვალუტას, რომელსაც მოიცავს ფორექსის კოტირებები, როგორცაა EUR / USD

დღიური ვაჭრობა ნიშნავს ვაჭრობის სტრატეგიას, რომლის დროსაც ვაჭრობა ხდება იმავე სავაჭრო დღის განმავლობაში.

სავაჭრო პლატფორმის შიდა ფოსტა ნიშნავს სავაჭრო ტერმინალზე ჩაშენებულ ელ-ფოსტის სერვისს. ეს იძლევა ელექტრონული ფოსტის შეტყობინებების გაგზავნასა და მიღების შესაძლებლობას.

არასაბირთო ბაზარი (Over-the-counter market) ნიშნავს ყველა გარიგებების ბაზარს, რომელიც ბიუის გარეთ, მათ შორის forex-ზე.

ვოლატიურობა ნიშნავს ფასების ცვალებადობას (რყევას). რაც უფრო დიდია რყევების დიაპაზონი მოცემულ დროში, მით უფრო მაღალია ფასების ვოლატიურობა. მაღალი რყევები დამახასიათებელია იმ ბაზრებისთვის, რომლებიც მოკლე პერიოდის განმავლობაში განიცდიან ფასების უცაბედად ცვლებადობას.

GAP ნიშნავს წინა სავაჭრო სესიის დახურვის ფასსა და ახალი სავაჭრო სესიის გახსნის ფასს შორის მანძილს. GAP გრაფიკულად გამოხატულია როგორც უწყვეტობის დარღვევა.

დილერი გულისხმობს სერვერული პროცედურას, რომელიც ამუშავებს კლიენტების ოპერაციებს / გარიგებებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა "ვიწრო ბაზარი", "დილერი" ნიშნავს კომპანიის თანამშრომელს, რომელიც ახორციელებს მომხმარებლის ტრანზაქციების დამუშავებას.

დემო-ანგარიში ნიშნავს ვირტუალურ სავაჭრო ანგარიშს, რომელიც განკუთვნილია ტესტური ოპერაციების შესასრულებლად რეალური ფულის დაკარგვის რისკის გარეშე. სადემონსტრაციო ანგარიშის გამოყენებისას მხარეები არ იღებენ ფინანსურ პასუხისმგებლობას ერთმანეთის მიმართ ამ ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციებისათვის.

ყიდვა ნიშნავს პოზიციის გახსნას ვალუტის ყიდვის მიზნით. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დროიდან ტრეიდერი გრძელვადიან პოზიციაშია.

დახურული მდგომარეობა	ნიშნავს პოზიციას, რომელიც ადრე იყო გახსნილი და განხორციელდა საპირისპირო ტრანზაქცია და ამ ოპერაციების შედეგები გამოთვლილია.
კლიენტის ტერმინალი	ნიშნავს პროგრამულ პროდუქტს "MetaTrader 4", საიდანაც კლიენტი იღებს ინფორმაციას ფინანსურ ბაზარზე ვაჭრობის შესახებ რეალურ დროში. ტერმინალი საშუალებას აძლევს მომხმარებელს განახორციელოს ბაზრების ტექნიკური ანალიზი, განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები, შექმნას / შეცვალოს / გააუქმოს ბრძანებები და კომპანიისგან მიიღოს შეტყობინებები.
საკომისიო	გულისხმობს ტრანზაქციების განხორციელებისთვის, კომპანიის ფიქსირებულ ან მცურავ კომპენსაციებს.
ქვოტა	ნიშნავს ვალუტის ერთეულს გამოხატულს სხვა ვალუტის ერთეულის ღირებულებაში.
გაყიდვა	ნიშნავს ვალუტის გაყიდვის ღია პოზიციას.
საკრედიტო მხარი	ნიშნავს სავაჭრო ანგარიშზე ფულის ოდენობას, რომელიც ასევე წარმოადგენს დეპოზიტს და ამ თანხის საფუძველზე განხორციელებული გარიგების ჩატარებისათვის გამოყოფილ კაპიტალს შორის თანაფარდობას.
სერვერის ლოგ-ფაილი	გულისხმობს სერვერის მიერ შექმნილ ფაილებს, სადაც ჩაწერილია ყველა მოთხოვნა, ინსტრუქცია და ასევე მათი დამუშავების შედეგები, რომელიც მომხმარებელისაგან ეგზავნება დიღერს.
ლოტი	ნიშნავს სავალუტო თანხის გაზომვის ერთეულის აბსტრაქტულ განმარტებას.
მარჟა	ბროკერისთვის იმ თანხის ოდენობაა, რომელიც კლიენტის ანგარიშზე უნდა იყოს ღია პოზიციის მხარდასაჭერად.
ბაზრის გარე კოტირება	ნიშნავს ისეთ კოტირებას, რომელიც არ იმყოფება კომპანიის მონაცემთა ბაზაში ან კომპანიის სავაჭრო სისტემაში და რომლითაც ივაჭრება ძირითადი საბაზო აქტივი. ბაზრის გარე კოტირების ალტერნატიული კოტირება უნდა აკმაყოფილებდეს თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს: <ul style="list-style-type: none"> ა) არსებობს მნიშვნელოვანი ფასთაშორის სხვაობა; ბ) ფასი მოკლე ვადაში უბრუნდება თავის პირვანდელ დონეს და ჩამოყალიბდება ფასთაშორის სხვაობა; გ) ასეთი კოტირების წინა პერიოდში არ ხდება ფასების ცვლილების სწრაფი დინამიკა. დ) ასეთი კოტირების გამოჩენის პერიოდში, არ ხდება მაკროეკონომიკური მოვლენების და / ან კორპორატიული ინფორმაციების გამოქვეყნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ინსტრუმენტის სიჩქარეზე.
ღია პოზიცია	ნიშნავს ბაზარზე არსებულ ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც მისმა მონაწილემ გახსნა ახალი შეკვეთა და ელოდება დახურვას.
ბაზრის გახსნა	ნიშნავს ვაჭრობის დაწყებას შაბათ-კვირის, დღესასწაულების ან სავაჭრო სესიების და დასვენებების შემდეგ.

ორდერი	ნიშნავს მომხმარებელთა მოთხოვნას დილერთან გახსნას ან დახუროს გარიგება, როდესაც ფასი მიაღწევს სათანადო დონეს.
ინდიკატორი	<p>ნიშნავს ინსტრუმენტს, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ ნიმუშებსა და მათემატიკურ ფორმულებზე და რომელიც მიზნად ისახავს ფინანსურ ბაზრებზე განვითარებულ მოვლენების პროგნოზირებას. იგი გამოიყენება ცალკე ან სხვა ინდიკატორებთან ერთად, რათა უზრუნველყოს უკეთესი ხარისხის სიგნალი, პოზიციის გახსნის ან დახურვის მიზნით.</p> <p>ყველა მაჩვენებელი დაყოფილია შემდეგ ტიპებად:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ტენდენციის მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებენ ტენდენციის არსებობას ან არარსებობას; ბ) ოსცილიატორები, რომლებიც განკუთვნილია ტენდენციის გაგრძელების ან შეცვლის განსაზღვრისთვის.
ინტერნეტვაჭრობა	ნიშნავს ინტერნეტით ვაჭრობას
ანგარიშის ისტორია	ნიშნავს სავაჭრო ანგარიშზე სრულად დასრულებულ იტრანზაქციების სტატისტიკას და არასაბანკო ოპერაციების ჩამონათვალს.
კლიენტი	ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც დადო ხელშეკრულება კომპანიასთან, რათა განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები ან მარჟის სავაჭრო პირობები დაგანახორციელოს საინვესტიციო ოპერაციები.
კლირინგი	ნიშნავს ორმხრივ შეთანხმებას განხორციელებულ გარიგებებზე.
კონტრაქტი ფასთასხვაობაზე (CFD)	ნიშნავს სავაჭრო ოპერაციების ობიექტს, რომელიც დაფუძნებულია ძირითადი აქტივის ღირებულების ცვლილებებზე (მაგ, აქტივს, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით საფუძვლად უდევს ფასის სხვაობა) ძირითადი აქტივი შეიძლება იყოს ვალუტა, სამომავლო ხელშეკრულება, პროდუქტი, ძვირფასი ლითონი, საფონდო ინდექსები და ა.შ.
Pip	ნიშნავს ვალუტის ღირებულების თანდათანობით ცვლილებას.
მცურავი სპრედი	ნიშნავს ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის სხვაობას, რომლის მოცულობა იცვლება გარკვეული გარემოებების ზემოქმედებით.
მოგება	გულისხმობს ფულად ერთეულებში გამოხატულ დადებით შედეგს, რომელიც გამომდინარეობს სპეკულაციური გარიგებებიდან.
პოზიცია	ნიშნავს საბაზრო ვალდებულებებს, რომელიც გამოხატულია ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდული ან გაყიდული კონტრაქტების რაოდენობაში
Long	ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას იმ პროგნოზით, რომ ფასი აიწევს. მოკლე პოზიცია ნიშნავს ინსტრუმენტის გაყიდვას იმ პროგნოზით, რომ ფასი დაეცემა.
Quote stream	ნიშნავს თითოეული ინსტრუმენტისთვის თანმიმდევრულ კოტირებას, რომელიც მოცემულია სავაჭრო პლატფორმაზე.

შეკვეთა	ნიშნავს კომპანიისაგან კლიენტის მოთხოვნას შეასრულოს გარიგება (იყიდოს ან გაყიდოს) მაშინ, როცა ბაზარზე შეიქმნა შესაბამისი პირობები.
Stop-loss ორდერი	ნიშნავს კომპანიისაგან მომხმარებელთა მოთხოვნას რათა დაიხუროს შეკვეთა იმ პირობით, რომ ფასმა მიაღწიოს გარკვეულ დონეს (ამჟამინდელ დონეზე ცუდი) სერიოზული დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.
მოგების ორდერის აღება (TP)	ნიშნავს მომხმარებელთა მოთხოვნას კომპანიის მიმართ, დახუროს შეკვეთა როდესაც ფასი მიაღწევს გარკვეულ დონეს მოსალოდნელი მოგების მისაღებად.
Slippage (გაცურება)	ნიშნავს შეკვეთაში დაფიქსირებულ ფასსა და ფაქტობრივ (უარესი) ფას სშორის განსხვავებას, რომლის დროსაც შესრულებულია ტრანზაქცია. ტიპური Slippage დროს, ფასის ძლიერი ცვილებები ხდება მოკლე დროში, რის შედეგადაც შეკვეთა არ იხურება მითითებულ ფასზე ხოლო შემდეგი ფასი მითითებულზე ცუდია.
Buy Stop	ორდერი ნიშნავს გრძელი პოზიციის გახსნას გაცილებით მაღალ ფასში, ვიდრე შეკვეთის მომენტისათვის არსებული ფასია.
Sell Stop	ორდერი ნიშნავს მოკლე პოზიციის გახსნას გაცილებით დაბალ ფასში, ვიდრე შეკვეთის მომენტისათვის არსებული ფასია.
Buy Limit	ორდერი ნიშნავს გრძელი პოზიციის გახსნას გაცილებით დაბალ ფასში, ვიდრე შეკვეთის მომენტისათვის არსებული ფასია.
Sell Limit	ორდერი ნიშნავს მოკლე პოზიციის გახსნას გაცილებით მაღალ ფასში, ვიდრე შეკვეთის მომენტისათვის არსებული ფასია.
Request	ნიშნავს კომპანიის მიმართ კლიენტის მოთხოვნას გახსნას / დახუროს, განათავსოს, გააუქმოს ან შეცვალოს შეკვეთის დონე
Market price	(ბაზრის ფასი) ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ფაქტიურ ღირებულებას ბაზარზე შესყიდვის / გაყიდვის მომენტისათვის.
კომპანიის ვებ-გვერდი	გულისხმობს კომპანიის ინტერნეტ საიტს: www.wt.ge
გარიგება	ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის შეძენა-გაყიდვას. შეძენა (Buy) ხდება Ask ფასის შესაბამისად, ხოლო გაყიდვა (Sell) ხდება მიწოდების (Bid) ღირებულებაში. გარიგება შეიძლება განხორციელდეს ბაზრის წესების შესაბამისად ან გადადებული ორდერის შედეგად. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეკვეთის შესრულება შეიძლება გამოიწვიოს რამოდენიმე ტრანზაქციის ჩართვამ
Swap	ნიშნავს ბაზრის მონაწილეების მიერ გადასახადის გადახდას გახსნილი პოზიციის მეორე დღეზე გადატანისთვის.
Scalping	წარმოადგენს სავაჭრო სტრატეგიას, რომლის დროსაც ფინანსურ ინსტრუმენტებზე დღიური ოპერაციები იხურება რამოდენიმე პუნქტში მოგების მიღწევის შემდეგ.
ხელშეკრულების სპეციფიკა	ნიშნავს თითოეული ინსტრუმენტის ძირითად სავაჭრო პირობებს, რომელიც მოიცავს: სპრედი, ლოტის ზომას, სავაჭრო გარიგების მინიმალური ზომა, სავაჭრო ტრანზაქციის მოცულობის ეტაპობრივი ცვლილება, საწყისი მარჟა, დაბლოკილი პოზიციების მარჟა და სხვა.

- სადავო სიტუაცია** ნიშნავს სიტუაციას, რომლის მიხედვითაც კლიენტი მიიჩნევს, რომ კომპანიამ თავისი ქმედებებით დაარღვია ამ რეგულაციის / მომხმარებელთა შეთანხმების ერთი ან მეტი დებულება ან / და სხვა ნებისმიერი ნორმატიული დოკუმენტის წესი. ან კომპანია მიიჩნევს, რომ კლიენტმა თავისი ქმედებებით დაარღვია ამ დებულების / მომხმარებელთა შეთანხმების ერთი ან მეტი დებულება ან / და სხვა ნებისმიერი მარეგულირებელი დოკუმენტი.
- სპრედი** ნიშნავს Ask და Bid (მოთხოვნა და მიწოდება) ფასებს შორის განსხვავებას.
- დანაკარგი** გულისხმობს ნეგატიურ შედეგს, რომელიც გამოხატულია ფულად (ან სხვა) ერთეულებში და რომელიც წარმოიშვება გარიგების დახურვისას.

2. წესების ნორმატიული თვისებები

- 2.1. სავაჭრო ოპერაციების ჩატარების (შემდგომში "წესები") წესების მიზანია, დამტკიცებული პირობების მიხედვით შეკვეთების დამუშავება და შესრულება. ასევე საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და CFD კონტრაქტების მიხედვით სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისთვის კლიენტების მოთხოვნის / ბრძანებების განთავსება, რომელიც კლიენტთან ნამდვილი შეთანხმების საგანს წარმოადგენს;
- 2.2. წესებში ჩამოყალიბებულია კლიენტის მიერ კომპანიის სისტემაში პოზიციების გახსნა ან დახურვის პრინციპები, ასევე განთავსების, შეცვლის, გაუქმების და დავალების შესრულების დროს კომპანიის მხრიდან მოქმედების განსაზღვრა გახსნილი პოზიციების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ გააჩნია შესაბამისი საკმარისი თანხა ანგარიშზე და პოზიციების მხარდასაჭერი მარჟინალური დონე. ცალკეული სექციები არეგულირებს დავის გადაწყვეტას.
- 2.3. აღნიშნული რეზოლუცია არის კლიენტის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების მიღება კლიენტის ანგარიშის გახსნისას გულისხმობს მათ შესაბამისობას ამ დებულებებთან და მასში გათვალისწინებული სავაჭრო ოპერაციების განხორციელების წესებთან.
- 2.4. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში აღნიშნული დებულების პირობებსა და კლიენტის ხელშეკრულების დებულებებს შორის წინამდებარე დებულებებს ენიჭება უპირატესობა.

3. ძირითადი პირობები

- 3.1. ყველა სავაჭრო ინსტრუმენტის კოტირებები, რომელსაც უზრუნველყოფს ლიკვიდურობიდ მომწოდებელი კომპანია და მოცემულია კომპანიის სისტემაში, აისახება რეალურ დროში და განისაზღვრება საბაზრო პირობებით და ლიკვიდურობით.
- 3.2. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას, მაგრამ შეუძლია კონტრაგენტის მოქმედების შეწყვეტის დროს მიღებული დავალება განახორციელოს
- 3.3. სავაჭრო ოპერაციების განხორციელება
- 3.3.1. სავაჭრო ოპერაცია რომელიც გულისხმობს პოზიციის გახსნას შესყიდვაზე, შესრულებულია Ask ღირებულებით. სავაჭრო ოპერაცია რომელიც გულისხმობს გასაყიდი პოზიციის გახსნას შესრულებულია Bid ღირებულებით.

- 3.3.2. სავაჭრო ოპერაცია რომელიც გულისხმობს შესასყიდი პოზიციის დახურვას, წარმოებს Bid ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ოპერაცია რომელიც გულისხმობს გასაყიდი პოზიციის დახურვას, წარმოებს Ask ღირებულებით.
- 3.3.3. დეტალური ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ვაჭრობა და სხვა ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია შეკვეთის, მოდიფიკაციის ან გაუქმების აღსრულებასთან, დეტალურადაა აღწერილი "მომხმარებელთა ტერმინალის სახელმძღვანელოში".
- 3.4. პოზიციის გახსნის ან დახურვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია, რომ გამოყენებული იქნას ისეთი თხოვნები როგორცაა ზარალის შეჩერება და სარგებლის მიღება.
- 3.5. კლიენტის ინსტრუქციები რომელიც ეხება პოზიციის გახსნას / დახურვას, მიღებულად ითვლება, კომპანიის სერვერის ლოგ ფაილში ჩანაწერების შექმნის შემდეგ.
- 3.6. კლიენტსა და კომპანიას შორის ურთიერთქმედება ხორციელდება ინფორმაციის გაცვლის გზებით: მოთხოვნები, დამტკიცება, ანგარიშები და სხვა. ყველა შეტყობინება რომელიც გენერირებულია კლიენტისთვის ეგზავნება და მიეწოდება სავაჭრო ტერმინალის საშუალებით. გამონაკლის შემთხვევებში შეტყობინებების მიწოდება ხდება ტელეფონით კლიენტის მომსახურების საშუალებით. ყველა შეტყობინება, რომელიც კომპანიის სავაჭრო ტერმინალის მეშვეობითაა გაგზავნილი და კლიენტის სახელით და პაროლით განმტკიცებული, ითვლება კლიენტზე გაგზავნილად.
- 3.7. მომხმარებელთა მიერ ნებისმიერი სავაჭრო ოპერაცია ხორციელდება კომპანიის ინტერნეტის სისტემის გამოყენებით. კლიენტი გარანტიას აძლევს კომპანიას რომ მას აქვს სრული ცოდნა და გაგებული აქვს კომპანიის სისტემის მუშაობის პრინციპები ისევე როგორც სავაჭრო ტერმინალის სპეციფიკისა და საქმიანობის პროცედურა, მათ შორის გარიგების ჩატარების ყველა ეტაპი და ეთანხმება კომპანიის აღნიშნულ დებულებებს, მომხმარებელთა შეთანხმებას და კომპანიის სხვა სპეციფიკაციებსა და ინსტრუქციებს.
- 3.8. კლიენტსა და კომპანიას შორის კომუნიკაცია შემდგარია შემდეგი საშუალებებით:
- კომპანიის ვებგვერდზე შეტყობინებები;
 - MT4 ტერმინალის შიდა ფოსტა;
 - სატელეფონო კავშირი;
 - ელ.ფოსტა;
 - რეგულარული ფოსტა.
- 3.9. მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნით, კომპანია იყენებს კლიენტის იმ რეკვიზიტებს რომელიც მითითებულია რეგისტრაციის დროს კლიენტის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა შეიცვალა მისი საკონტაქტო ინფორმაცია, იგი ვალდებულია შეატყობინოს კომპანიას ახალი საკონტაქტო დეტალები „კლიენტის ხელშეკრულების,, პირობების შესაბამისად.
- 3.10. საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტის მიერ მიღებულად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:
- კლიენტის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნიდან ერთი საათის შემდეგ;
 - სავაჭრო ტერმინალის შიდა ფოსტიდან გაგზავნისთანავე;
 - სატელეფონო საუბრის დასრულებისთანავე;

- რეგულარულ ფოსტაზე გაგზავნიდან 7 დღის შემდეგ;
- კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებისთანავე.

3.11. ერთი სავაჭრო სესიის ფარგლებში, სერვერზე გაგზავნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) ათასს.

3.12. კლიენტი იღებს პასუხისმგებლობას ყურადღებით გაეცნოს "მომხმარებელთა ტერმინალის გამოყენების სახელმძღვანელოს" წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სავაჭრო ოპერაციამდე. კლიენტის ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც ეხება დებულების ნაკლებად და არაჭეროვნად გაცნობას უსაფუძვლოა და კომპანია არ მიიღებს.

4. პოზიციების გადაცემა.

4.1. ღია პოზიციების გადაცემის პროცესი უნდა შესრულდეს 23:59:59 საათიდან 00:00 საათამდე, როგორც ეს კომპანიის სერვერზე განსაზღვრული. პოზიციის გადაცემის დროს მომდევნო დღეს, კლიენტის ანგარიშზე შეიძლება ჩაირიცხოს ან ჩმოეჭრას შესაბამისი თანხა.

4.2. სვოპების მოცულობები და მათი დაკრედიტება / დებეტირება მითითებულია შესაბამის სპეციფიკაში, რომელიც მოცემულია კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. კლიენტი გაეცნო და იღებს შემდეგს:

- კლიენტს არ შეუძლია მიიღოს ტერმინალის მეშვეობით ყველა კოტირება, რომელიც ბაზრების ჯვარედინი კვეთის დროს შეიქმნა.
- კომპანია უზრუნველყოფს მცურავ სპრედებს, რაც შეიძლება შეიცვალოს საბაზრო პირობების მიხედვით.
- კომპანია უფლებამოსილია უარი თქვას კლიენტის მოთხოვნასა და შეკვეთაზე შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) ბაზრის გახსნისას, თუ კლიენტი განახორციელებს მოთხოვნას ან აგზავნის მას სანამ პირველი კოტირება გავა სავაჭრო პლატფორმაში,
 - ბ) თუ კომპანიას არ შეუძლია ტრანზაქციის დაზღვევა ლიკვიდურობის მომწოდებლის გამოყენებით.
 - გ) თუ მარჟა არ არის საკმარისი;
- კომპანიას უფლება აქვს, გადარიცხოს თანხა კლიენტის ანგარიშზე კომპანიის შეხედულებისამებრ;
- კომპანიას უფლება აქვს განიხილოს ნებისმიერი კოტირება რომელიც ზემოქმედებს არასაბაზრო მოგებაზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მიაჩნია, რომ ასეთი კოტირებები ექცევა "არასაბაზრო კოტირებების" კრიტერიის ქვეშ, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით და შეუძლია გადახედოს ამ კრიტერიუმებით ჩატარებული ნებისმიერი სავაჭრო ოპერაციების ფინანსურ შედეგებს;
- კომპანია ითვლებს უფლებას, გადათვალოს კლიენტის ტრანზაქციები, თუ კლიენტმა გამოიყენა ტერმინალის ხარვეზი ან იყენებდა "მრჩევლებს" რომელებიც ვაჭრობენ ამ ხარვეზების გამოყენებით;
- იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა პოზიცია დახურა არასაბაზრო კოტირებებით, კომპანია დაარეზერვებს (გააჩერებს) დახურულ ფასებს და ფინანსურ შედეგებს;
- თუ კლიენტის ქმედებებით ნაჩვენებია ფასების მანიპულირების ნიშნები, კომპანიას უფლება აქვს, გააუქმოს კლიენტის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია რომელიც განხორციელდა ამგვარი ფასების მანიპულირების გამოყენებით და უარყოს მათი მომსახურება კლიენტთან ხელშეკრულების შეწყვეტისგზით.

გადახედოს არასწორი სავაჭრო ოპერაციების ფინანსურ შედეგებს თანხის დაბრუნების მიზნით კომპანიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

6. კოტირებების შეთავაზება

- 6.1. ყველა კოტირებები რომელსაც კლიენტი ღებულობს ტერმინლის საშუალებით, წარმოადგენს საორიენტაციოს და მოიცავს ბაზარზე ხელმისაწვდომ საუკეთესო Bid და Ask ფასებს. ამ ფასებს კომპანიი ლიკვიდიურობის მომწოდებლისგან იღებს;
- 6.2. ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებები რომელიც "ბაზრის შესრულების" ტექნოლოგიით ვაჭრობის დროს კლიენტს ტერმინალის მეშვეობით მიეწოდება, წარმოადგენს საორიენტაციოს და შეიძლება განსხვავებული იყოს იმ შეთავაზებებისაგან, რომელსაც მოთხოვნის საპასუხოდ ღებულობს. მიუხედავად ამისა, კომპანია მიისწრაფის შეასრულოს კლიენტის შეკვეთა ბაზრის საუკეთესო ფასებით, რომელსაც კი ლიკვიდურობის მომწოდებელი კომპანია შეთავაზებს.
- 6.3. კომპანიის სავაჭრო პლატფორმის სერვერი წარმოადგენს კოტირებების ერთადერთ სანდო სწყაროს, რომელსაც მხარეები უნდა დაეყრდნონ ყველა ურთიერთობისას გამომდინარე წინამდებარე შეთანხმებიდან, არსებული წესებიდან და სხვა დოკუმენტებიდან. რომელიც წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.
- 6.4. კომპანია უზრუნველყოფს კოტირებების მიწოდებას ორშაბათის 00:01 საათიდან პარასკევის - 23:00 საათამდე ჩათვლით დღესასწაულების გარდა.
- 6.5. კომპანიას უფლება აქვს დაადგინოს ვაჭრობის გრაფიკი, ანუ ის პერიოდი როდესაც შესაძლებელია კლიენტმა დახუროს და გადაიტანოს მომდევნო დღეზე თითოეული ინსტრუმენტის ტრანზაქციები ცალ-ცალკე.
- 6.6. ვაჭრობის გრაფიკის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია და ყველასთვის ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდზე და მითითებულია "კომპანიის ახალი ამბების" მენიუში. კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს სავაჭრო საათები ამ რეგლამენტის 6.5 პუნქტის შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ.

7. პოზიციების იძულებითი დახურვა

- 7.1. კომპანიას უფლება აქვს იძულებით დახუროს მომხმარებელთა ღია პოზიციები წინასწარი თანხმობისა და გაფრთხილების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტის სამომხმარებლო სავაჭრო ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხები 10% -ზე ნაკლებია ან ტოლი. იმ შემთხვევებში, თუ კლიენტს აქვს რამდენიმე ღია პოზიცია, რომელიც მცოცავი სპრედით შედარებით მაღალი დანაკარგების მიღების რისკით გამოირჩევა, პირველ რიგში ექვემდებარება იძულებით დახურვას.
- 7.2. კომპანიას უფლება აქვს იძულებით დახუროს მომხმარებელთა ნებისმიერი ღია პოზიციები წინასწარი თანხმობისა და გაფრთხილების გარეშე, გადაულახავი ძალების ან საგანგებო სიტუაციის დროს, სავაჭრო სერვერის ან მოწყობილობების გაუმართაობისას, რაც ხელს უშლის წინამდებარე შეთანხმებით კლიენტისთვის სათანადო მომსახურებების მიწოდებას. ასევე სხვა შემთხვევებში, რაც უკავშირდება კლიენტსა და კომპანიის ურთიერთობების დარეგულირებას.

8. საკრედიტო მხარი და მარჯა

- 8.1. მარჟინალური ოპერაციების ჩასატარებლად კომპანია მომხმარებელს საკრედიტო მხარით სარგებლობას სთავაზობს. კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს განსაზღვროს საკრედიტო მხარის მოცულობა ცალკეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად ან თავისი შეხედულებისამებრ ან შესაბამისი შეთანხმების შემდეგ.
- 8.2. მომხმარებელთან შეთანხმებით და მათი სავაჭრო სტრატეგიის გათვალისწინებით, კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს საკრედიტო მხარი 1:350-მდე.
- 8.3. პოზიციის უზრუნველსაყოფად, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს საწყისი მარჟის დაფარვა. კლიენტი ვალდებულია შეიტანოს და შეინარჩუნოს საწყისი მარჟა, რომელიც თითოეული ღია პოზიციისთვის გამოითვლება, როგორც ლოტის ზომის თანაფარდობა მხარის ზომასთან. თავისუფალი მარჯა შესაძლოა მოიხსნას კლიენტის ანგარიშიდან ან საწყისი პოზიციების გამოყენებით.
- 8.4. კომპანიას უფლება აქვს გამოიყენოს ახალ მარჯაზე მოთხოვნა კლიენტის ღია ან უბრალოდ გახსნილ პოზიციებზე ამ დებულების წესებისა და მომხმარებელთა ხელშეკრულების შესაბამისად.
- 8.5. კლიენტი ვალდებულია პასუხისმგებლობა აიღოს სავაჭრო ანგარიშზე შესაბამისი მარჟის არსებობაზე.

9. დავების დარეგულირება და მხარეებს შორის განსხვავებები

- 9.1. ყველა დავა რომელიც წარმოშობილია ან წარმოიშვება კლიენტსა და კომპანიას შორის სავაჭრო ოპერაციებთან მიმართებაში, ასევე სამომხმარებლო შეთანხმებისა და ამ დებულებით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ქმედებების გაანგარიშებაში გადაწყდება მოლაპარაკების გზით.
- 9.2. თუ კლიენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არღვევს ამ წესებს, მას უფლება აქვს, კომპანიასთან შეუთანხმებლად შეიტანოს სარჩელი. ასეთი საჩივრები მიიღება კლიენტის ხელშეკრულებით დადგენილი წესით კლიენტის მიერ კომპანიის ელექტრონულ ფოსტის მისამართზე complain@wt.ge შევსებული საჩივრის გაგზავნით:
- 9.3. კომპანიამ არ უნდა განიხილოს მომხმარებელთა ნებისმიერი მოთხოვნა, რომლებიც შედგენილია არასწორი გზით, ფაქტები მოყვანილია ბუნდოვანად და არ შეესაბამება წარდგენის ფორმას ან მოიცავს ნაკლებ საჭირო ინფორმაციას.
- 9.4. კლიენტის მიერ წარმოდგენილი სარჩელი ამ დებულების 9.2 პუნქტის შესაბამისად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - კლიენტის გვარი;
 - კომპანიის სისტემაში შესვლის პაროლი და მომხმარებლის სავაჭრო ანგარიშის ნომერი;
 - დავის საგანი (სარჩელის ხასიათი), მაგ. "სავაჭრო ოპერაციების ჩატარებისას სადავო სიტუაცია";
 - სადავო სიტუაციის თარიღი და დრო ;

კლიენტის მოთხოვნების / პრეტენზიების ნათლად გადმოცემა: სადავო თანხა და მისი დასაბუთება, თუ კლიენტი მიიჩნევს, რომ მას გააჩნია დანაკარგები.

- 9.4.1. კლიენტის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, როცა შეცდომით არ შესრულდა გადადებული ორდერი, კლიენტი სანამ წარადგენს

სანივრის განაცხადს, უნდა მიუთითოს განაცხადში
გადადებული ორდერის ნომერი

9.5. კომპანია ითვებს უფლებას:

კლიენტმა /მომხმარებელმა მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ნათელს მოფენს სადავო სიტუაციას. ასეთი ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში პრეტენზია დამუშავდება ნებისმიერი არსებული ინფორმაციის საფუძველზე;

არ მიიღოს და უარყოს პრეტენზია, თუ სადავო სიტუაციის წარმოშობის პერიოდში კლიენტს სანივრის შეტანისას ჰქონდა შესრულებული ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სტოპ ლოსთან ან მოგებასთან და წარმოადგენს სანივრის საგანს.

9.6. ამ დებულებით გათვალისწინებული კომპანიის მიერ მოთხოვნის დამუშავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამი) სამუშაო დღეს.

9.7. სანივრის დამუშავება ხორციელდება კლიენტისა და კომპანიის სერვერზე სარეგისტრაციო მონაცემების საფუძველზე. კომპანიის სერვერული ფაილებს აბსოლუტურად უპირატესობა ენიჭება სხვა მტკიცებულებებსა და ინფორმაციებთან შედარებით.

9.8. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას გარიგებების შეუსრულებლობაზე და არ აანაზღაურებს მატერიალურ და მორალურ ზიანს თუ კლიენტის აზრით ამ გარიგების შეუსრულებლობა სარგებლის მიუღებლობას გულისხმობს

9.9. პრეტენზიისა და კამათის განხილვისას კომპანია არ განიხილავს სხვა კომპანიების / საიტებისა და ინფორმაციის სხვა წყაროების მონაცემებს, რომლებიც არ უკავშირდება კომპანიის სისტემას. ყველა საკითხი, რომელიც ეხება ბაზარზე მიმდინარე ფასებს წარმოადგენს კომპანიის ექსკლუზიურ კომპეტენციას და კლიენტს არ აქვს უფლება, დაეყრდნოს ნებისმიერ ალტერნატიულ წყაროებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბაზრო ფასების დონეს.

10. დებულებების შესწორებები და დამატებები

10.1. კომპანია ითვებს უფლებას ცალმხრივად შეცვალოს აღნიშნული დებულებები.

10.2. კომპანია ცალმხრივად განსაზღვრავს ამ დებულების ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლის თარიღს

10.3. კომპანია აცნობებს მომხმარებელს ამ რეგულაციებში ცვლილებების შესახებ კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე "კომპანიის ახალი ამბები" , შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთი ცვლილებებისა და დამატებების გაცნობის პასუხისმგებლობა დაეკისრება კლიენტს.

10.4. აღნიშნული რეგულაციების ცვლილებები და დამატებები ვრცელდება კომპანიის ყველა მომხმარებელზე, მიუხედავად მათი რეგისტრაციის თარიღისა.